სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N130801622

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 06.08.2013 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი ქეთევან ძლიერიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 2380435

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 36000976866113

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ცამეტი წლის ექვსი აგვისტოს მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №6, მომმართეს შპს "სამედიცინო ცენტრი ქირონი"-ს დირექტორმა ხათუნა ჩიხლაძემ (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "სამედიცინო ცენტრი ქირონი "-სა შესახებ მომზადებული 08/12/2011 11:35:28 საიდენტიფიკაციო კოდი №202207450)

მათ წარმოადგინეს ოთხ ეგზემპლარად შედგენილი უძრავი ქონების ხელშეკრულების განვადებით გადახდის პირობით და მოითხოვეს მასზედ თავისი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება. მე მათ განვუმარტე, რომ ხელშეკრულების შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე, მე ნოტარიუსი ქეთევან ძლიერიშვილი არ ვიღებ პასუხისმგებლობას.

მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ჯუზეპე პაზოტომ (დაბადებული 06.07.1954წ. იტალიაში, მისამართი: მისამართის გარეშე, მისი განცხადებით მცხოვრები, ქ. თბილისი, გია აბესაძის ქ. №6, პირადი №01092001388, პ/მ 11IA95661, გაც. 28.06.2013წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ) და ხათუნა ჩიხლაძემ (დაბ: 08.12.1964წ. თბილისში, პ/მ №ბ 0228489, პირადი № 01008018466 გაც. 21.05.1999წ. თბილისის ვაკის რაიონის შს სამმ. მიერ მისამართი თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ. №16, ბინა 24) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თვრამეტი (18) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ სამი (3)ლარი და ოცდაოთხი (25) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოთაღნიშნული მთავრობის დადგენილებისა 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ქეთევან ძლიერიშვილი

უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება
განვადებით გადახდის პირობით

ქ.თბილისი

ექვსი აგვისტო 2013 წელი

ხელშეკრულების მხარეები:

— ჯუზეპე პაზოტო (პ№01092001388, ეპისკოპოსი) (შემდგომში **გამყიდველი**)

— შპს „სამედიცინო ცენტრი ძირონი“ (ს/კ 202207450), წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი და დამფუძნებელი (წილის 100%-ს მფლობელი) **ხათუნა ჩიხლაძე** (პ№01008018466) (შემდგომში **მყიდველი**),

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას განვადებით გადახდით და შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი განვადების გადახდის პირობით ყიდულობს უძრავ ქონებას (შემდგომში **ნასყიდობის საგანი**), რომლის მახასიათებლებია:

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ს/კოდი
თბილისი 01	ვაკე 14	03	040/316	01.14.03.040.316

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო - სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 399.00კვ.მ.
მისამართი: **ქალაქი თბილისი, ყაზბეგის 34:**

მესაკუთრე	საკუთრების ტიპი	საკუთრება	ფართობი
ჯუზეპე პაზოტო	საკუთრება	მიწის ნაკვეთი	399.00 კვ.მ

1.2 მყიდველი თავისმხრივ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს **გამყიდველს** წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ფასი ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით;

1.3 ნასყიდობის საგანზე **მყიდველს** შეზღუდული საკუთრების უფლება წარმოიშვება წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

მუხლი 2. ნასყიდობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოობის შესახებ

2.1 მყიდველი ადასტურებს, რომ სრულად იცნობს ნასყიდობის საგანს და რომ მის ხარისხობრივ-თვისობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით არ გააჩნიაა არავითარი პრეტენზია. შესაბამისად მყიდველი წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ ყოველგვარი პრეტენზიის გაცხადების გარეშე ნივთობრივი თვალსაზრისით ნასყიდობის საგანს მიიღებს იმ მდგომარეობით, რაც მას აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის;

2.2 გამყიდველი იღებს ვალდებულებას, რომ ნასყიდობის საგნის გადაცემამდე შეინარჩუნოს ნასყიდობის საგნის მდგომარეობა იმ პირობებში, რაც მას აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის;

2.3 მყიდველი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ გამყიდველი არ ახორციელებს ნასყიდობის საგნის ნივთობრივი მხარის მიმართ რაიმე სახის ზეგავლენასა თუ ზემოქმედებას, რის შედეგადაც შეიძლება დაირღვეს ნასყიდობის საგნის ნივთობრივი უნაკლობა;

2.4 ნასყიდობის საგნის ნივთობრივი მდგომარეობის შეცვლის რისკი, რაც შეიძლება დადგეს ადამიანური ზემოქმედების/ზეგავლენისა და ექსპლოატაციის შედეგად და აგრეთვე ისეთი ფორს-მაჟორით, რომლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიძლება დაზიანდეს ნასყიდობის საგანი (მათ შორის მისი განადგურებისა), წინამდებარე ხელშეკრულების დადებისთანავე სრულად გადადის მყიდველზე.

მუხლი 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველისთვის უნაკლო ნივთის გადაცემაზე;

გამყიდველი

მყიდველი

მყიდველი პასუხისმგებელია ნასყიდობის ფასის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობით გადახდაზე.

მუხლი 4. ნასყიდობის საგნის ფასი და გადახდის პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1-ე პუნქტში მითითებული ნასყიდობის საგნის ფასია **330 000 (სამას ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის** ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ბანკის კურსის შესაბამისად.

4.2 მხარეთა განცხადებით და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ნასყიდობის საგანი გაიყიდა განვადებით გადახდის შემდეგი პირობით და შემდეგი გრაფიკით:

4.2.1 2014 წლის 01 აგვისტომდე – **115 000 (ას თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში**, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

4.2.2 2015 წლის 01 აგვისტომდე – **110 000 (ას ათი ათასი) აშშ დოლარის** ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ბანკის კურსის შესაბამისად.

4.2.3 2016 წლის 01 აგვისტომდე – **105 000 (ას ხუთი ათასი) აშშ დოლარის** ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

4.3 მყიდველი გამყიდველს ნასყიდობის ფასს უხდის ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით, უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4.4 მყიდველი უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ საანგარიშო პერიოდში გადაიხადოს ამ პერიოდში გადასახდელ თანხაზე მეტი, რომელიც გამოაკლდება შემდეგ საანგარიშო პერიოდში გადასახდელ თანხას.

4.5 უძრავი ქონების განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე, მყიდველის საკუთრებაში, შეზღუდვით მოხდება უძრავი ქონების, რომლის მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში, რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში.

4.6 მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში (ნასყიდობის საგნის ღირებულების წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სრულად გადაუხდელობა), ნასყიდობის საგანი გამყიდველს უბრუნდება სრულად და მყიდველი გამყიდველს უხდის ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს;

4.7 მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა პირგასამტეხლო **250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი, რომლის უზრუნველყოფის მიზნით, მყიდველის მიერ გამყიდველის სასარგებლოდ მოხდება იპოთეკით მესამე პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დატვირთვა, რომლის ვადაც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მყიდველის ვალდებულების სრულად შესრულებამდე.**

4.8 ხელშეკრულების 4.5 და 4.7 პუნქტებით განსაზღვრული შეზღუდვის და იპოთეკის გაუქმება მოხდება მყიდველის მიერ გამყიდველისთვის ნასყიდობის საგნის ფასის სრულად დაფარვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.9 ნასყიდობის საგანი არ არის დაყადაღებული და ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული 2013 წლის 02 აგვისტოს ამონაწერით, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.03.040.316, განცხადების რეგისტრაციის №882013360325

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

5.2 დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

5.3 თუ ნებისმიერი ზემოთნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.

გამყიდველი

მყიდველი

მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს. ამასთან, შეტყობინება არაა სავალდებულო, რადესაც ფორს-მაჟორული გარემოება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2 ქონების გადაცემის ადგილია მისი ადგილსამყოფელი.

6.3 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობით და წერილობითი ფორმით;

6.4 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავისა და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები დავას წყვეტენ საქართველოს სასამართლოში.

6.5 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა გამყიდველს, ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს;

6.6 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს როგორც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების, ასევე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯები.

6.7 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები, თითოეული დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ადასტურებენ, რომ: 1. წინამდებარე ხელშეკრულების დადება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და თითოეული მხარის საზოგადოების წესდებას, ადგილი არ აქვს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხარვეზს; 2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებას საფუძვლად არ უდევს იძულება, მუქარა ანდა მოტყუება და ისეთი გარემოებები, რის გამოც გარიგება შეიძლება გახდეს საცილო და/ან ცნობილ იქნეს უცილოდ ბათილად; 3. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული დებულება მიღწეულია მხარეთა კონსენსუსის შედეგად.

6.8 თითოეული მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული რეკვიზიტების ცვლილება. ამასთანავე, შეუტყობინებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი ყოველი შეტყობინება მიიჩნევა ჩაბარებულად, მიუხედავად იმისა ადგილი ექნება თუ არა შეტყობინების ფაქტობრივ მიღებას, და მას შეიძლება მოჰყვეს იურიდიული შედეგები.

მხარეთა ხელმოწერები

გამყიდველი

ჯუზეპე პაზოტო

მისამართი: გ. აბესაძის 6

ხელმოწერა

მყიდველი

შპს „სამედიცინო ცენტრი ძირონი“

მისამართი: დიდუბის ქ. №4, 3 კორპ

დირექტორი ხათუნა ჩიხლაძე

ხელმოწერა

თანახმა ვარ, შპს „სამედიცინო ცენტრი ძირონი“-ს დამფუძნებელი და წილის 100%-ს მფლობელი ხათუნა ჩიხლაძე (პ№01008018466)

ხელმოწერა

გამყიდველი

CARITAS GEORGIA

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა რ ი ტ ა ს ი

ტელ./Tel.: (995 32)294 20 73/225 01 93/225 13 87/221 78 19/ 599 229 700
ფაქსი/Fax.: (995 32)221 78 19/225 13 87
ელ-ფოსტა/E-mail: caritas-georgia@caritas.ge
მისამართი: ნუცუბიძის 3ა, II მ.რ., 0183 თბილისი, საქართველო
Office address: 3a, Nutsubidze Plateau II, 0183 Tbilisi, Georgia

CG R-70 404/13

24/09/2013 წელი

თანხმობა

(პროექტზე საავტორო უფლების გადაცემის შესახებ)

ა.(ა.)ი.პ. **„საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“** (ს/კ 211334091), წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი კშიშტოვ გუსტავ კოვალი, როგორც არქიტექტურული პროექტის ავტორი მშენებარე უძრავ ქონებაზე, მდებარე: **ქალაქი თბილისი, ალ. ყაზბეგის 34, ს/კ 01.14.03.040.317,** თანახმაა საავტორო უფლება დაუთმოს უძრავი ქონების ამჟამინდელ მესაკუთრეს, შეზღუდული **პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო ცენტრი ქირონი“-ს** (ს/კ: 202207450).

ა.(ა.)ი.პ. „საქველმოქმედო ფონდი
საქართველოს კარიტასი“-ს
დირექტორი

საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი * CARITAS GEORGIA * 211334091

კშიშტოვ გუსტავ კოვალი

სამუშაოს პირობები:

1. თქვენ ვალდებული ხართ გაეცნოთ „საქართველოს კარიტასის“ წესდებას.

2. ვალდებული ხართ პირნათლად შეასრულოთ კონტრაქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობები:
   - თქვენ გეკისრებათ „საქართველოს კარისტატის“ მიერ წარმოებული მშენებლობის, საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის წარმოება და ამასთან დაკავშირებით გარე კონტაქტების დამყარება შესაბამის უწყებებთან.
   - თქვენს მიერ შესრულებულ პროექტებზე საავტორო უფლებები ეკუთვნის საქველმოქმედო ფონდს „საქართველოს კარიტასს“ დასაქმების მთელ პერიოდში.
   - აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით გევალებათ ყველა ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა და შეთანხმება სათანადო უწყებებთან.
   - მშენებლობის პროექტში საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა პროექტის ავტორთან შეთანხმების შემდეგ.
   - მშენებლობაზე ნებართვის აღება.
   - საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური საკითხების გადაჭრა და შეთანხმება სათანადო უწყებებთან.
   - ზემოაღნიშნული პუნქტებთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადის მოგვარება.
   - მშენებლობაზე ტექზედამხედველობა საწყისი ეტაპიდან, მის საბოლოო დასრულებამდე.
   - თქვენ ვალდებული ხართ ყველა სახის გადაწყვეტილება შეათანხმოთ „საქართველოს კარისტატის“ ხელმძღვანელობასთან, მშენებლობის მწარმოებელთან და ინჟინერ-კონსტრუქტორთან.
   - თქვენ გევალებათ დაიცვათ მშენებლობის ტექნიკური ნორმები, წესები და უსაფრთხოების ტექნიკა, საქართველოს არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.
   - თქვენ გეკისრებათ ვალდებულება ეკონომიურად გამოიყენოთ მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა.

   ანგარიშვალდებული ხართ პროგრამების მენეჯერისა და მშენებლობაზე პასუხისმეგებელ პირზე.

3. თქვენთვის გათვალისწინებული ხელფასი გადაგეხდებათ შესრულებული სამუშაოს მიხედვით თვეში ერთხელ, ყოველი თვის 25-დან 30 რიცხვამდე.

4. საქვეანგარიშო თანხის მიღების შემთხვევაში თქვენ ანგარიშვალდებული ხართ „საქართველოს კარისტატის“ ბუღალტერიის წინაშე და გევალებათ ყოველ თვიურად წარმოადგინოთ დახარჯული თანხის ანგარიში. თქვენ ვალდებული ხართ ბუღალტერიას ანგარიში შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში წარუდგინოთ, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიერ მიღებული თანხა დაკავდება თქვენი ხელფასიდან.

5. თქვენ უფლება გაქვთ შეწყვიტოთ კონტრაქტი იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ წერილობით შეატყობინებთ მეორე მხარეს არა უგვიანეს ორი კვირით

ადრე.

6. თქვენს მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის, ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში "საქართველოს კარიტასის" ხელმძღვანელობა უფლებას იტოვებს გაგათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან მასშემდეგ, რაც თქვენს მიერ სრულად დაბრუნებული იქნება საქვეანგარიშო თანხა, არაუმეტეს ორი კვირის განმავლობაში.

7. მხარეები ყველა ძალას იღონებენ, რათა წინამდებარე კონტრაქტთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

8. იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება დავის მოგვარება მოლაპარაკების გზით, თითოეულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. სასამართლოში საკითხის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს გაიღებს მომჩივარე მხარე, ხოლო საბოლოოდ გადაიხდის დამნაშავე.

9. სამუშაოს ხანგრძლივობა – კვირაში 5 დღე, 8 საათი დღეში (მეტი - აუცილებლობის შემთხვევაში).

10. "საქართველოს კარიტასი" ყველა სამივლინებო ხარჯს იღებს თავის თავზე.

11. მხარეთა ორმხრივი დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე კონტრაქტში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები ან დამატებითი პუნქტები. ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები ან დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

გთხოვთ გახსოვდეთ, რომ "საქართველოს კარიტასი" არის კათოლიკური საქველმოქმედო ორგანიზაცია. თქვენი შრომა და ქცევა საქართველოს კარიტასში განმსჭვალული უნდა იყოს ჰუმანიტარული ეთიკის პატივისცემითა და მკაცრი დაცვით.

მოაწერთ რა ხელს ხელშეკრულებას, თქვენ აღიარებთ, რომ წაიკითხეთ და გაიგეთ "საქართველოს კარიტასში" თქვენი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პირობები.

პ. ვ. შულჩინსკი
"საქართველოს კარიტასის"
დირექტორი

თანამშრომლის სახელი, გვარი

თარიღი:

თარიღი:

მე, ქ.თბილისის ალ.ყაზბეგის გამზ. 34 საკ.კოდი 01,14,03,040,317 შპს სამედიცინო ცენტრ ქირონის მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრე შპს ქეთევან 2009 ის დირექტორი ქეთევან ღირსიაშვილი, საინდ.კოდი 206342055 საკ კოდი 01,14,03,040,218 თანახმა ვარ , რომ სამედიცინო ცენტრ ქირონმა მისი მშენებარე ობიექტი დაამთავროს წარმოდგენილი და არსებული პროექტის შესაბამისად.

შპს ქეთევან 2009 ს დირექტორი: ქ.ღირსიაშვილი

თანამშრომლად მიღების კონტრაქტი

ვის: იოსებ კაჭკაჭიშვილის

ვისგან: პ. ვ. შულჩინსკისაგან

თანახმად ამ კონტრაქტისა, თქვენ მიიღებით მშენებარე ობიექტების ინჟინერ-არქიტექტორის თანამდებობაზე საქველმოქმედო ფონდ "საქართველოს კარიტასში" ქვემოდ მოცემული ვადისა და პირობების გათვალისწინებით;

თანამდებობა:	ინჟინერ-არქიტექტორი
სამუშაოს ადგილმდებარეობა:	თბილისი 380083, ნუცუბიძის II პლატო, 3ა
დანიშვნის თარიღი:	1.01.2003 (21.12.98)
თვიური ხელფასი:	180 ლარი
კონტრაქტის ხანგრძლიობა:	01.01.2005 – 30.06.2005

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირზე დადგენილი ყველა გადასახადი დაკავდება თქვენი ხელფასიდან და გადაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაწესებულებებში.

არსებული პროგრამის შემდგომი დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია კონტრაქტის გაგრძელება ან შეწყვეტა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ახალი პროექტების დაფინანსების შემთხვევაში, საჭიროებისდამიხედვით შესაძლებელია კონტრაქტის გაგრძელება ან შეწყვეტა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.